საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თორაძე გია ედუარდის ძე

გ. თორაძე

თორაძე გია ედუარდის ძე (დ. 23. IV. 1957, თბილისი), გენერალ-მაიორი (1995). დაამთავრა თბილ. უმაღლესი საარტ. სასწავლებელი (1978). 1978–83 მსახურობდა უნგრეთში, 1983–85 – მოსკოვში, იყო დივიზიონის მეთაური; 1985–88 იყო მ. ფრუნზეს სახ. აკადემიის მსმენელი. 1988–89 – მოტომსროლელი კადრის ბატალიონის მეთაური, შემდეგ – ბატალიონის შტაბის უფროსი. 1989–92 მუშაობდა საქართვ. რესპ. სამოქალაქო თავდაცვის შტაბში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1993–94 იყო I საარმიო კორპუსის მეთაური. 1994–95 – შს სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი. 1998–99 – აღმოსავლეთის მიმართულების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი. 1999–2002 – თავდაცვის ეროვნ. აკადემიის პრორექტორი.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

ლ. დოლიძე